ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროგრამის დასახელება (ქართულად და ინგლისურად)	კლინიკური ნეიროფსიქოლოგია Clinical Neuropsychology
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის მაგისტრი MS in clinical neuropsychology
	მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. 120 ECTS განაწილებულია 2 აკადემიურ წელსა (თითო 60 ECTS) და 4 სემესტრზე (თითო 30 ECTS), სადაც: სავალდებულო კურსები შეადგენს 105 ECTS კრედიტს: მათ შორის: სავალდებულო- 75 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომი- 30 კრედიტი და არჩევითი კურსები- 15 კრედიტი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები /კოორდინატორი	პროფესორი თამარ გაგოშიძე tamar.gagoshidze@tsu.ge
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად. კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე განაცხადის გაკეთება შეუძლია ნებისმიერ პირს, რომელსაც მიღებული აქვს ბაკალავრის ხარისხი ფსიქოლოგიაში, ან ბაკალავრიატის საფეხურზე დამატებითი სპეციალობის ფარგლებში დასრულებული აქვს მაინორი ფსიქოლოგიაში, აქვს მინიმუმ ერთწლიანი სამუშაო გამოცდილება ზრდასრულების და ბავშვების ფსიქოლოგიურ მომსახურებაში, ამასთან, წარმატებით გადალახა ერთიანი სამაგისტრო გამოცდის საკვალიფიკაციო მინიმუმი. პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად აპლიკანტი აბარებს შემდეგ გამოცდებს: - ერთიანი სამაგისტრო გამოცდა - გამოცდა ინგლისურ ენაში (B2 დონე) 20% ან წარმოადგენს საერთაშორისო სერტიფიკატს, რომლითაც დასტურდება ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე. - გამოცდა ნეიროფსიქოლოგიასა და ბავშვის განვითარების დარღვევებში.50% ასევე, წარადგენს სამოტივაციო წერილს. 30% უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტის სტატუსის მოპოვების უფლება შესაძლებელია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილი წესების საფუძველზე. მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის

	სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურების და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	სამაგისტრო პროგრამის მიზანი ეფუძნება როგორც თსუ-ის მისიას, ხედვას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, ასევე კლინიკური ნეიროფსიქოლოგის მომზადების საერთაშორისო სტანდარტებს: • ჰიუსტონის კონფერენციის მიერ შემუშავებულ კლინიკური ნეიროფსიქოლოგის მომზადების სტანდარტს. https://uh.edu/hns/hc.html 3-7 სექტემბერი, 1997 • ამერიკის კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის აკადემიის ნეიროფსიქოლოგიური შეფასებისა და კონსულტირების სახელმძღვანლოს. (2007) American Academy of Clinical Neuropsychology (AACN) Practice Guidelines for Neuropsychological Assessment and Consultation. The Clinical Neuropsychologist. 21:2, 209-231. DOI: 10.1080/13825580601025932 • კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის სინარქიას (2019) G. Smith Education and Training in Clinical Neuropsychology: Recent Developments and Documents from the Clinical Neuropsychology Synarchy. Archives of Clinical Neuropsychology. 34, 418-431. doi:10.1093/arclin/acy075 • ევროპის ფსიქოლოგიური ასოციაციების ფედერაციის (EFPA) კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის კომიტეტის თეთრი ქაღალდის პრინციპებს EFPA STANDING COMMITTEE ON CLINICAL NEUROPSYCHOLOGY 2021. White paper: Proposal to introduce a EuroPsy specialist certificate in Clinical Neuropsychology. 20210115 version 2.0 სამაგისტრო პროგრამა კლინიკურ ნეიროფსიქოლოგიაში მკვლევარი-პრაქტიკოსის მოსამზადებლად მიზნად ისახავს მისცეს სტუდენტებს: 1. ფუნდამენტური და სისტემური ცოდნა ბავშვის და ზრდასრულის თავ ტვინის ფუნქციონირების, თავის ტვინის დაზიანების შედეგად კოგნი ფუნქციების, ენის, ემოციურ სფეროსა და ქცევის დარღვევების ნეიროფსიქოლოგიურ სინდრომებისა და სიმპტომების შესახებ; 2. სისტემური ცოდნა ბავშვის და ზრდასრულის ნერვული სისტემის დაზიანებისა და მენტალური დარღვევების საკლასიფიკაციო სისტემების, დარღვევების ნეიროფსიქოლოგიური მოდელებისა და გამოვლინებების შესახებ; 3. სისტემური ცოდნა ბავშვის და ზრდასრულის ნეიროფსიქოლოგიური რეაბილიტაციის პრინციპების მოდელების, მათი ფსიქოლოგიური, ფსიქოთერაპიული და ნერვული საფუძვლების შესახებ; 4. სისტემური ცოდნა ბავშვის და ზრდასრულის კლინიკური ნეიროფსიქოლოგიური შეფასების მეთოდოლოგიის შესახებ; 5. კოგნიტური და ექსპერიმენტული ნეიროფსიქოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიის, მეთოდებისა და მოდელების შესახებ ცოდნა და მათი გამოყენება კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისას; 6. პრაქტიკული ჩვევები ბავშვის და ზრდასრულის ნეიროფსიქოლოგიურ დიაგნოსტიკასა და შედეგების ინტერპრეტაციაში; 7. პრაქტიკული ჩვევები ბავშვის და ზრდასრულის კონსულტირებასა და ნეიროფსიქოლოგიურ რეაბილიტაციაში.

სწავლის შედეგები:	**კურსდამთავრებული პროგრამის დასრულების შემდგომ:**
ცოდნა და გაცნობიერება	1. კრიტიკულად მსჯელობს ზრდასრულის და ბავშვის ცენტრალური ნერვული სისტემის სხვადასხვა სახის დაზიანების დროს ფსიქიკური ფუნქციების, ქცევის და ემოციური სფეროს დარღვევის კანონზომიერებებზე და სიღრმისეულად განიხილავს მათ ნეიროფსიქოლოგიურ მოდელებსა და მექანიზმებს; 2. დეტალურად აღწერს ნეიროფსიქოლოგიური შეფასების პრინციპებს და მეთოდებს, ნეიროფსიქოლოგიური ტესტების დანიშნულებას და შინაარსს; 3. სისტემურად აღწერს და სიღრმისეულად განიხილავს ფსიქიკური ფუნქციების აღდგენის თეორიებსა და მოდელებს, ნეიროფსიქოლოგიური რეაბილიტაციის სტრატეგიებსა და მეთოდებს; 4. განსაზღვრავს და სისტემურად განიხილავს ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანების/დისფუნქციის მქონე ბავშვის და ზრდასრულის კონსულტაციის პრინციპებსა და პროცესს;
უნარები	5. გეგმავს და ატარებს ბავშვისა და ზრდასრული ინდივიდების ნეიროფსიქოლოგიური დიაგნოსტიკის პროცესს, აფასებს და აანალიზებს ინდივიდის ანამნეზს, არჩევს და ატარებს შესაბამის ტესტებს, ამუშავებს შედეგებს, აყალიბებს შედეგების ინტერპრეტაციას. შეიმუშავებს წერილობით ნეიროფსიქოლოგიურ დასკვნას და რეკომენდაციებს. 6. დამოუკიდებლად აყალიბებს ნეიროფსიქოლოგიური რეაბილიტაციის მიზნებს, არჩევს ნეიროფსიქოლოგიური რეაბილიტაციის მიდგომებსა და მეთოდებს; გეგმავს ნეიროფსიქოლოგიური რეაბილიტაციის პროცესს. 7. კონსულტაციას უწევს მშობლებს, მასწავლებლებს, ოჯახის წევრებს, პაციენტებს სწავლის, ქცევის, მუშაობის, ემოციური მხარდაჭერის საკითხებზე. 8. კრიტიკულად აანალიზებს და აფასებს სამეცნიერო კვლევებს და ექსპერიმენტულ მონაცემებს კლინიკურ ნეიროფსიქოლოგიაში, აკეთებს დასკვნებს, სვამს კვლევით შეკითხვებს და გეგმავს შესაბამის კვლევას.
პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა	9. განმარტავს და პრაქტიკულად ახორციელებს APA სტანდარტით და AACN პრაქტიკის და კონსულტაციის სახელმძღვანელოთი განსაზღვრულ ეთიკურ პრინციპებს პაციენტთან, მის ოჯახთან და სოციალურ გარემოსთან მუშაობის პროცესში; იცავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონით გათვალისწინებულ რეგულაციებს, ისევე როგორც კვლევის შედეგებისა და დოკუმენტაციის კონფიდენციალობის პრინციპებს, ინდივიდის უფლებებს მისი საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე. 10. ახორციელებს თვითრეფლექსიას, განსაზღვრავს პროფესიულ საჭიროებებს და ზრუნავს პროფესიულ განვითარებაზე.
სწავლა/სწავლების მეთოდები	კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსები ეფუძნება სტუდენტზე

	ორიენტირებული სწავლების პრინციპებს და ითვალისწინებს შესაბამის მეთოდებს სასწავლო კურსის მიზნების მისაღწევად. გათვალისწინებული სწავლა/სწავლების მეთოდები ორიენტირებულია არა მხოლოდ ცოდნის მიღებაზე, არამედ პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამის სწავლა-სწავლების მეთოდებს. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული სწავლა/სწავლების მეთოდები შეესაბამება სასწავლო კურსის მიზნებსა და შინაარსს. სწავლა/სწავლების მეთოდები, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, ხოლო არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა —პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლების მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებულია სასწავლო კურსის მიზანი და შედეგი - რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება უნდა შეძლოს სტუდენტმა. სასწავლო კურსის სილაბუსებით გათვალისწინებული სწავლა/სწავლების მეთოდები ხელს უწყობს კონკრეტული მასალის ათვისებას და ავითარებს სტუდენტის ტრანსფერულ უნარებს. კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს მრავალფეროვან სწავლა/სწავლების მეთოდებს: ○ ლექცია; ○ სამუშაო ჯგუფი; ○ პრაქტიკული მეცადინეობა; ○ დისკუსია/დებატები, ○ თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება, ○ ჯგუფური (collaborative) მუშაობა, ○ დემონსტრირება, ○ ახსნა-განმარტება, ○ შემთხვევების ანალიზი (Case study), ○ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), ○ როლური/სიტუაციური თამაშები. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, შესაძლოა, იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.
შეფასების წესი	კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ფასდება, "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს — შუალედურ (ერთ- ან

	მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს: ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული სამუშაო, პროტფოლიო და სხვა. შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების სხვადასხვა მეთოდს, როგორიცაა: ტესტი, ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, პორტფოლიო, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვა. შეფასების კრიტერიუმებით დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში (შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 21 ქულა; დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 50%). დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. **შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:** (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებების მინიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 21 ქულა.

	სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა. შეფასების მიღების შემდეგ ხდება უკუგება სტუდენტსა და პედაგოგს შორის მიღწეული შედეგებისა და ნაკლოვანებების გაუმჯობესების მიზნით. უკუკავშირი სხვადასხვა ფორმისაა – აუდიტორიაში, საკონსულტაციო საათებისთვის გამოყოფილ დროს, ან ელექტრონული ფოსტით სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით/სასწავლო კურსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან. სტუდენტების ჩაშენებული პრაქტიკული საათების მონიტორინგი ხდება სპეციალური დასწრება-აქტივობის ფურცლით. ყველა სტუდენტს ჰყავს მენტორი, ვინც აგებს პასუხს სტუდენტის მიერ პრაქტიკით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებაზე და აფასებს აღნიშნულ აქტივობებს. აქტივობების შეფასება გაწერილია შესაბამის სილაბუსებში (იხ. დანართი N). მენტორი ასევე წერილობით აფასებს სტუდენტის აქტივობას, ჩართულობას და შესრულების ხარისხს პრაქტიკის დასწრება-აქტივობის ფურცელში (იხ.დანართი). აღნიშნულ აღწერილობებს და შეფაება პრაქტიკის ხელმძღვანელი ითვალისი სტუდენტი სამაგისტრო ნაშრომს ამზადებს და გადასცემს შესაფასებლად ფაკულტეტზე შემუშავებული სამაგისტრო ნაშრომის მომზადების, შეფასების და დაცვის დებულების მიხედვით (იხ. დანართი N).
დასაქმების სფეროები	სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდგომ, მაგისტრანტს აქვს: მუშაობის შესაძლებლობა ნევროლოგიურ და ფსიქიატრიულ განყოფილებებში, სკოლაში, უმაღლეს სასწავლებლებში, პირველადი ჯანდაცვის რგოლში, შშმ პირთა მომსახურების ცენტრებში, სარეაბლიტაციო ცენტრებში, არასამთავარობო და სამთავრობო ორგანიზაციებში პიროვნების ფსიქოლოგიური კეთილდღეობის, განათლებისა და ჯანდაცვის საკითხებთან დაკავშირებით.
სწავლის საფასური ქართველი და უცხოელი სტუდენტებისათვის	წლიური გადასახადი ერთ სტუდენტზე განისაზღვრება 2250 ლარის ოდენობით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	**პროგრამის ადამიანური რესურსი:** პროგრამის განხორციელებაში ჩართული არიან ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, დარგის სპეციალისტები და პრაქტიკოსები. ***იხ. დანართი პროგრამაში ჩართული პერსონალი.*** **პროგრამის მატერიალური რესურსი:** • პროგრამა ხორციელდება თსუ-ის მესამე სასწავლო კორპუსში.

	○ საერთო ფართი - 3091.48 კვ.მ სასწავლო ფართის საერთო მოცულობა - 1213,23კვ/მ; ○ აუდიტორიების საერთო რაოდენობა -24 ერთეული. ○ კომპიუტერული რესურსცენტრი (ოთახი 206) 20 ერთეული კომპიუტერი სტუდენტებისთვის, ○ ლაბორატორია 1 – 20 ერთეული კომპიუტერი; ○ ლაბორატორია 2 - 20 ერთეული კომპიუტერი; ○ აუდიტორიებში ადგილების საერთო რაოდენობა - 814. • ასევე პროგრამის ნაწილი, კერძოდ პრაქტიკული კურსები ხორციელდება თამარ გაგოშიძის ნეიროფსიქოლოგიის ცენტრში: გ. ქუჩიშვილის ქ.4. • თსუ-ს სამეცნიერო ბიბლიოთეკა; სასწავლო პროგრამა იყენებს საფაკულტეტო ბიბლიოთეკას, რომელშიც განთავსებულია ქართულენოვანი და უცხოენოვანი წიგნადი ფონდი. წიგნადი ფონდი მოიცავს სილაბუსებით გათვალისწინებულ სავალდებულო ლიტერატურას, სალექციო კურსებს, რიდერებს და სხვა სასწავლო მასალას (მათ შორის, ელექტრონულ მატარებლებზე არსებული), რომლის შევსება და განახლება ხდება ყოველწლიურად სასწავლო კურსების სილაბუსებით გათვალისწინებული ძირითადი და დამატებითი სახელმძღვანელოებით; 2017 წლის 8 დეკემბრიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, და შესაბამისად პროგრამის სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს წვდომა აქვს Clarivate Analytics პროდუქტზე - "Web of Science (WoS) 10 ". "Web of Science" პლატფორმაზე წვდომა შესაძლებელია თსუ-ს ქსელში ჩართული ნებისმიერი კომპიუტერიდან www.webofscience.com "Web of Science" პლატფორმის გარდა წვდომა ჩართულია Journal Citation Report-ზე, საიდანაც შესაძლებელია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალების ჩამონათვალის ნახვა. • აუდიტორიები აღჭურვილია ტექნიკით: თანამედროვე პროექტორი, პროექტორის ეკრანი, გახმოვანების აპარატურა; განახლებულია ინფრაქტრუქტურა; • კორპუსში განთავსებულია სამზარეულო პერსონალისათვის. <u>**პროგრამის ფინანსური რესურსი:**</u> პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ფაკულტეტისთვის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ფარგლებში, ასევე, უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში გათვალისწინებული ხარჯებით, რომელიც ემსახურება, უნივერსიტეტის ცენტრალური აპარატის ფუნქციონირებას, კომუნალური ხარჯების დაფარვას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნებს და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების უზრუნველყოფას. ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის განხილვა დამტკიცების პროცესში ჩართულია ფაკულტეტის აკადემიური, ადმინისტრაციული პერსონალი და სტუდენტები.

	უნივერსიტეტის ბიუჯეტში ყოველწლიურად გათვალისწინებულია თანხები ეკონომიკური შემოსავლების არაუმეტეს 2%-ის მოცულობით და სემესტრულად გაიცემა საუნივერსიტეტო დაფინანსება, რაც გულისხმობს სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსებას აკადემიური შედეგების გათვალისწინებით.
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	• კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა ერთადერთია საქართველოში და ფუნქციონირებს 1998 წლიდან. პროგრამა უზრუნველყოფს კლინიკური ნეიროფსიქოლოგების გამოშვებას ისეთი კომპეტენციებით, რომ ისინი წარმატებით მუშაობენ არა მხოლოდ ვიწროდ კლინიკურ სფეროში, არამედ განათლების და ჯანდაცვის სფეროების სხვადასხვა მიმართულებით, ზრდასრულთა და ბავშვთა მენტალური ჯანმრთელობის სფეროში. • კურსდამთავრებულს ექნება სადოქტორო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი:

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება:

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:

სწავლების საფეხური:

კრედიტების რაოდენობა:

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები / კოორდინატორი: აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი:

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი):

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა:

სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი: სავალდებულო -75 კრედიტი/ არჩევითი-15 კრედიტი/სამაგისტრო ნაშრომი-30 კრედიტი												
N	კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა			სასწავლო კურზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი				ლექტორი/ლექტორები
				ლექცია	სემინარი	პრაქტიკ./ ლაბორატორ.		I	II	III	IV	
სავალდებულო სასწავლო კურსები												
1.		კლინიკური ნეიროფსიქოლოგია 1	5	15	30		წინაპირობის გარეშე					თ. გაგოშიძე
2.		კლინიკური ნეიროფსიქოლოგია 2	5	15	30		კლინიკური ნეიროფსიქოლოგია 1					თ. გაგოშიძე
3.		ნეიროფსიქოლოგიური შეფასების პრაქტიკუმი 1	5			45	წინაპირობის გარეშე					თ. გაგოშიძე
4.		ნეიროფსიქოლოგიური შეფასების პრაქტიკუმი 2	5			45	ნეიროფსიქოლოგიური შეფასების პრაქტიკუმი 1					თ. გაგოშიძე
5.		ნეიროფსიქოლოგიური რეაბილიტაცია და კონსულტირება 1	5	15	30		წინაპირობის გარეშე					თ. გაგოშიძე

6.		ნეიროფსიქოლოგიური რეაბილიტაცია და კონსულტირება 2	5	15	30		ნეიროფსიქოლ ოგიური რეაბილიტაცია და კონსულტირებ ა 1					თ. გაგოშიძე
7.		კერძო ფსიქიატრია და ფსიქოფარმაკოთერაპია	5	15	30		წინაპირობის გარეშე					ნ.ოკრიბელაშვილი
8.		ნევროლოგიის საფუძვლები	5	15		30	წინაპირობის გარეშე					ლ.აბესაძე
9.		კოგნიტური და ქცევითი დარღვევების ფიზიოლოგიის საფუძვლები	5	15			წინაპირობის გარეშე					ნ.დორეული
10.		ბავშვის კლინიკური ფსიქოლოგია	5	15	30		წინაპირობის გარეშე					ზ.ჩეჩელაშვილი
11.		ბავშვთა ნევროლოგია	5	15		30	ნევროლოგიის საფუძვლები					თ.ედიბერიძე
12.		კოგნიტური და ექსპერიმენტული ნეიროფსიქოლოგია	5	15	30		კლინიკური ნეიროფსიქოლ ოგია 2					ნ. კაპანაძე
13.		ბავშვის ნეიროფსიქოლოგია	5	15	30		კლინიკური ნეიროფსიქოლ ოგია 2					შ. მამუკაძე
14.		რეგრესიული და ფაქტორული ანალიზი	5	15	30		წინაპირობის გარეშე					ნ. წულაია
15.		ნეიროფსიქოლოგიური საქმიანობის ეთიკური პრინციპები და დიაგნოსტიკური შეცდომები	5	15	15		წინაპირობის გარეშე					თ. გაგოშიძე
არჩევითი სასწავლო კურსები												

16.		ზრდასრულთა ფსიქოთერაპიის პრინციპები	5	13	32		წინაპირობის გარეშე					მ.ქავთარაძე
17.		თ.ტ.ფუნქციური ნეიროვიზუალური მეთოდები და კოგნიტური ფუნქციები	5	15	15		კოგნიტური და ქცევითი დარღვევების ფიზიოლოგია					გ. ლომიძე
18.		პოზიტიური ფსიქოლოგია და შეზღუდული შესაძლებლობები	5	15	15		წინაპირობის გარეშე					ხ.მარწყვიშვილი
19.		ნეიროლინგვისტიკა და აფაზიოლოგიის საფუძვლები	5	12	33		წინაპირობის გარეშე					მ.გაბაშვილი
20.		ბავშვის და მოზარდის ფსიქოთერაპიის პრინციპები	5	15	30	15	წინაპირობის გარეშე					მ.ქავთარაძე
21.		ადრეული განვითარების ნეიროფსიქოლოგია და ინტერვენციის მოდელები	5	15	30		წინაპირობის გარეშე					თ.გავაშელიშვილი
22		სამაგისტრო ნაშრომი	30				სამაგისტრო ნაშრომი საჯარო დაცვაზე დაიშვება სტუდენტი რომელმაც გაიარა სემესტრული ადმინისტრაციული რეგისტრაცია და სრულად დაფარა სწავლის საფასური; დროულად წარმოადგინა					თ. გაგოშიძე შ. მამუკაძე ხ. მარწყვიშვილი

							სამაგისტრო ნაშრომი და დააკმაყოფილა წინა მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნები;სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში გავლილი აქვს პროგრამით განსაზღრული სასწავლო კომპონენტი. გაიარა სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი განხილვა.					

პროგრამის ხელმძღვანელის / ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა _____ _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____ _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____ _____

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა ——————————————————————————————— ——————————————————

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა ——————————————— ——————————————————

თარიღი ——————————————————————————— ფაკულტეტის ბეჭედი